	<p>მუშახელის მენეჯმენტი</p>	<ul style="list-style-type: none"> • კონტრაქტორი დაასაქმებს ადგილობრივი თემების არაკვალიფიციურ ან ნახევრად კვალიფიციურ მაცხოვრებლებს, განახორციელებს მათ გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას; • კონტრაქტორი ობიექტს უზრუნველყოფს ჰიგიენური ნორმების დაცვით მოწყობილ ბანაკებით (ბანაკები უზრუნველყოფილი იქნება საპირფარეშოებითა და სამრეცხაო ადგილებით, ცხელი და ცივი წყლით, საპნით და ხელის გასამშრალელებელი მოწყობილობით), ნებისმიერ ბანაკის მშენებლობა უნდა მოხდეს გარემოს დაცვითი ნორმების დაცვით. • კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრირებას, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ქვევის კოდექსის გათვალისწინებით.

**ნაწილი IV: მონიტორინგის გეგმა
მშენებლობის შაზა**

საქმიანობა	რა? (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი)	სად? (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრზე მონიტორინგი)	როდის? (განისაზღვრება სისშირე/ან ხანგრძლივობა)	რატომ? (არის პარამეტრი მონიტორინგის ქვეშ)	ვინ? (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე)
სამშენებლო მასალებით მომარაგება	სამშენებლო მასალების შექმნა ოფიციალური არხებით ლიცენზირებული მომწოდებლებისგან	მასალების მომწოდებლის ოფისში, საწყობ ბაზაზე, მდინარისპირას, კარიერზე	საბუთების შემოწმება; ხარისხის შემოწმება	მასალებით მომარაგების ხელშეკრულებათა გაფორმებისას	ნაგებობის ტექნიკური გამართულობისა და გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოების უზუნველსაყოფად	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
სამუშაოები ტყით დაფარულ ტერიტორიებზე	დაუშვებელია სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილ ტერიტორიებზე სამუშაოების განხორციელება ამორიცხვის პროცედურის დასრულებამდე. სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა ან სხვა საქმიანობებმა არ უნდა გამოიწვიოს ხე-მცენარეების დაზიანება და მოჭრა, თუ აღნიშნული საქმიანობა არ არის გათვალისწინებული გზის საფარისა და გვერდულების მოწყობისთვის. თითოეული მოსაჭრელი ხე უნდა იქნას მარკირებული და მოჭრის შემდგომ დაფიქსირდეს ჟურნალში.	სამშენებლო ბანაკი ტყით დაფარულ ტერიტორიაზე. მშენებელი კონტრაქტორის ოფისი	დოკუმენტაციის შემოწმება ვიზუალური დათვალიერება.	ტყით დაფარულ ტერიტორიაზე სამუშაოების დაწყებამდე და მიმდინარეობის პროცესში.	ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ტყით დაფარულ ტერიტორიებზე ხე-მცენარეების შემცირების შედეგად; ხე-მცენარეების ჭრის დროს წარმოებული ქურნალების მიწოდების ხელშეწყობა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება	- სატვირთო მანქანების და საგზაო სამშენებლო ტექნიკის გამართულობა; - ძარის სრულფასოვნება და ტვირთის დაცულობა საფარი მასალით; -ტექნიკის გადაადგილება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით	საშენი მასალებისა და სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირების მარშრუტები	სამშენებლო ობიექტთან მიმდებარე გზების ინსპექტირება გადაადგილების მარშრუტების მიმართულებებით	წინასწარ განუცხადებელი შემოწმება სამუშაოს აათებში	- მტკვრით და მყარი მასალით ჰაერისა და გზების დაბინძურების თავიდან ასარიდებლად; - საავტომობილო მოძრაობის შეფერხების შესაზღვრად	სგდ; საპატრულო პოლიცია

სამშენებლო ტექნიკის ოპერირება ობიექტზე	სამშენებლო ტექნიკის გამართული მუშაობა: - გამონაბოლქვის სიჭარბე - საწვავ-საპოხის ჟონგა - სამუშაო საათების დაცულობა	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	სამუშაო საათებში და მათ გარეშე	- ტექნიკის ოპერირებისაგან ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების შესამცირებლად; - მოსახლეობის ხმაურითა და ვიბრაციით შეწუხების შესაზღუდად	სგდ
სამშენებლო ტექნიკის მომსახურება	- ავტომობილების და ტექნიკის რეცხვა სამშენებლო ობიექტის გარეთ ან მდინარიდან მაქსიმალურად მოცილებულ ადგილას; - ტექნიკის გამართვა საწვავ-საპოხით სამშენებლო ობიექტს გარეთ ან ობიექტზე მოწყობილ საგანგებო პუნქტში; - ტექნიკის მომსახურების პუნქტის ტექნიკური გამართულობა: • მეარი გაუმტარი იატაკი ან აღსორბენტის (ქვიშა, წვრილი ხრეში, მემბრანა) საფარი • საკმაო ფართობი და გაუმტარი ბარიერები საწვავის კონტეინერთა გარშემო • საბაზისო ცეცხლმაქრი საშუალებები • სალექარები მანქანების სამრეცხაოსთან	სამშენებლო ობიექტი და მასთან არსებული სამშენებლო ბაზა (თუკი იარსებებს)	საქმიანობის ინსპექტირება	ტექნიკის ოპერირების პერიოდი	- ტექნიკის მომსახურებისაგან ნიადაგისა და წყლის ნაუთობროდუქტებით დაბინძურების თავიდან არიდება; - ააღებადი ნივთიერებებისგან ხაძრის გაჩენის შემთხვევაში მისი დროული ლოკალიზების უნზრუნველსაყოფად და მოსალოდნელი ზარალის შესამცირებლად.	სგდ
ინერტული მასალების მოპოვება	- ინერტული მასალების შექმნა არსებული მოპოვებლებისგან თუკი ამის საშუალება არსებობს; - მშენებელი კონტრაქტორის მიერ ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიის მოპოვება და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; - კარიერების ტერასული დამუშავება, დამუშავებულ უბნებზე ნარჩენი მასალის უკუჩაყრა და ლადშაფტთან ჰარმონიზაცია;	ინერტული მასალის კარიერები	საბუთების შემოწმება საქმიანობის ინსპექტირება	მასალათა მოპოვების პერიოდში	- ფერდობების ეროზიის, ეკოსისტემისა და ლანდშაფტის დაზიანების შესაზღუდად; - მდინარეთა ნაპირების ეროზიის, წყლის ნაკადის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებისა და წყლის ეკოსისტემებზე	სგდ; საქართველო ს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ წიადის ეროვნული სააგენტო

	- ხრეშის ამოღება წყლის ნაკადის გარეთ, ნაკადისაგან გამმიჯნველი ყრილების მოწყობით და ნაკადში სამშენებლო ტექნიკის შეუყვანლად; - კარიერების მონიშვნა გამაფრთხილებელი ნიშნებით				ზემოქმედების შესაზღუდავად; - პირუტყვასა და მოსახლეობის დაცვა და ზიანებისგან.	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	- ინერტული და სასიფათო სამშენებლო ნარჩენების განცალკევებით დროებითი დასაწყობება განსაზღვრულ ადგილებში; - ნარჩენების დროული გატანა წინასწარ წერილობით ნებადართულ ადგილებში; - სასიფათო ნარჩენების ჩაბარება მათი უვნებელყოფისა და განთავსების ლიცენზიის მქონე კომპანიებისთვის	სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს); ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილები	საბუთების შემოწმება ვიზუალური დათვალიერება	მშენებლობის მთელ პერიოდში	გარემოს დაცვა დანაგვიანებისგან	სგდ; მარნეულის მუნიციპალიტეტი
სასიფათო ნარჩენები	ნარჩენების დროული გატანა წინასწარ წერილობით ნებადართულ ადგილებში; - სასიფათო ნარჩენების ჩაბარება მათი უვნებელყოფისა და განთავსების ლიცენზიის მქონე კომპანიებისთვის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2)	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების დროს	აზბესტუმცველი მასალების შემცვერება	სგდ; მარნეულის მუნიციპალიტეტი
საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა	- სამშენებლო ობიექტზე და ბაზაზე (თუკი იარსებებს) საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების განთავსება; - შეთანხმება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული გატანის თაობაზე	სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს)	ვიზუალური დაკვირვება	მშენებლობის მთელ პერიოდში	საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ნიადაგისა და წყლის დაბინძურების აღსაკვეთად	სგდ; მარნეულის მუნიციპალიტეტი
თხევადი ნარჩენების წარმოქმნა	- სამშენებლო ობიექტზე და ბაზაზე (თუკი იარსებებს) სანიტარულ ნორმებთან შესატყვისი ტუალეტის მოწყობა და მომსახურება; - სამშენებლო ობიექტიდან წვიმის წყლის შეგროვებისა და გადინებისთვის სადრენაჟო სისტემის მოწყობა და პერიოდული გაწმენდა;	სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს)	ვიზუალური დაკვირვება	მშენებლობის მთელ პერიოდში გახშირებული რეჟიმით ძლიერი ნალექიანობის შემთხვევაში	- სამშენებლო ობიექტის დატბორვისა და ამით საკმეიანობის გაძნელების აღსაკვეთად; - ზედაპირული და გრუნტის წყლის	სგდ


	- საყოფაცხოვრებოდ და ტექნიკის სარეცხად გამოყენებული წყლის სალექარი გუბურის მოწყობა				დაბინძურების შესამცირებლად	
ასფალტ-ბეტონის ქარხნის ოპერირება	- მშენებელი კონტრაქტორის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვება და მისი პირობების განუხრელი დაცვა; - ქარხნის დასამონტაჟებლად იმგვარი ადგილის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მინიმალურ შეწუხებას ხმაურით, მტვრითა და გამონაბოლქვით; - ქარხნიდან ჩამდინარე წყლის სალექარი გუბურის მოწყობა	ქარხნის ტერიტორია	საბუთების შემოწმება საქმიანობის ინსპექტირება	ქარხნის დამონტაჟებისა და მისი ოპერირების მთელ პერიოდში	- სამშენებლო ობიექტის სიახლოვეს მოსახლეობის შეწუხების შესაზღუდად; - ატმოსფერული ჰაერისა და ზედაპირული წყლის დაბინძურების შესამცირებლად	სგდ; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
შრომის უსაფრთხოება	-სამუშაო ბანაკის/ბაზაზე სტანდარტული სანიტარიული პირობების უზრუნველყოფა, სასმელი წყლის და ტუალეტების ხელმისაწვდომობის ჩათვლით სეპტიკური ტანკები; - მშენებელთა უზრუნველყოფა სპეცტანსაცმლით და პირადი დამცავი საშუალებებით; - სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციის და პირადი უსაფრთხოების საშუალებების გამოყენების წესების ზუსტი დაცვა	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში	მშენებელთა ტრავმატიზმისა და უბედურ შემთხვევათა ალბათობის შესამცირებლად	სგდ
ნებისმიერი სახის საამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძო მიწის ნაკვეთებთან, სახლებთან ან სხვა საკუთრებასთან სიახლოვეს	თავიდან აიცილოთ კერძო საკუთრების გადამეტება ან სხვა სახის დაზიანების თავიდან აცილება (მცირე ზომის ტექნიკის ან მექანიკური შრომის გამოყენებით კედლებთან და ღობებთან ახლოს, სამშენებლო მასალის მარაგი და ნარჩენების მოშორება კერძო საკუთრებაში და ა.შ.); კერძო საკუთრებისადმი გაუთვალისწინებელი ზიანის შემთხვევაში, თავდაპირველი ან უკეთესი სტატუსის აღდგენა;	განთვისების ზოლთან	მუდმივი მონიტორინგი და შემოწმება კერძო მიწის ნაკვეთების, სახლებისა ან სხვა საკუთრებების	მთელი მშენებლობის პერიოდში	შეამციროს ზიანის ალბათობა კერძო საკუთრებაზე	სგდ საამშენებლო კომპანია

	<p>კერძო საკუთრებაში არსებული დროებითი ზემოქმედების შემთხვევაში, მფლობელების ინფორმირება და აღდგენის უზრუნველყოფა, მფლობელების წერილობითი თანხმობა ინტერვენციისთვის და დაუყოვნებლივ აღდგინოს ორიგინალი ან უკეთესი სტატუსის დაზიანება;</p> <p>თუ სამუშაოების მიმდინარეობისას მიწის მოულოდნელი საჭიროება იქმნება, დაზარალებულ რაიონში არ ჩაირიცხება განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და სრული განხორციელების დაწყებამდე.</p>					
კავშირი თემთან	<ul style="list-style-type: none"> წარმომადგენელი თემთან ურთიერთობისთვის, რომელსაც მინიჭებული ექნება პასუხისმგებლობის მკაფიო ფუნქცია; დაზარალებულთა ინფორმირება მიმდინარე სამუშაოებზე, მათ ფარგლებს და ვადებზე; ზემოქმედებულ თემებს წინასწარ ეცნობებათ მშენებლობის გამო რაიმე სახის შეფერხების შესახებ; კონტრაქტორის საკონტაქტო ინფორმაცია განთავსდება კარგად დასანახ ტერიტორიებზე სამშენებლო უბანზე და სამუშაო ბაზაზე; საჩივრების განხილვის მექანიზმი იმოქმედებს და მხარს დაუჭერს შესაბამისად გასატარებელ ღონისძიებებს. 	კონტრაქტორის სამუშაო	პერიოდული მონიტორინგი თუ კი არის რაიმე სახის ზემოქმედება კერძო ნაკვეთებსა ან სხვა სახის ქონებაზე	მთლიანად პროექტის განხორციელებისას	კერძო საკუთრებასა ან სხვა სახის ქონებაზე ზემოქმედების აცილების მიზნით	სგდ

ექსპლუატაციის ფაზა

საქმიანობა	რა (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	სად (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განისაზღვრება სისშირე/ან ხანგრძლივობა?)	რატომ (არის პარამეტრი მონიტორინგის ქვეშ?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
გზის სავეალი ნაწილისა და მისი გვერდულების დასუფთავება	მგზავრებისა და მძღოლის მიერ დატოვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული შეგროვება და გატანა; გზაზე დაღუპული ცხოველთა ნარჩენების დროული გატანა	გზის მიმდებარე ტერიტორია და კიუვეტები	ვიზუალური დათვალიერება	კვარტალურად	გარემოს დაბინძურებისაგან დასაცავად; გზაზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	მარნეულის მუნიციპალიტეტი
სადრენაჟო კიუვეტების გამტარიანობის შენარჩუნება	კიუვეტების რეგულარული გასუფთავება დანაღვებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან	გზის გასწვრივ არსებული სადრენაჟო კიუვეტები	ვიზუალური დათვალიერება	კვარტალურად	დრენაჟის სისტემის გამართულობის უზრუნველსაყოფად გზის დატბორვისა და წყლით დაზიანების თავიდან ასარიდებლად	მარნეულის მუნიციპალიტეტი
ავარიული დაღვრებისას ადგილის ლოკალიზება და დაბინძურებული ადგილის დასუფთავება	ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაღვრილი ან გაფრქვეული თხევადი ან ფხვიერი ტვირთის ნარჩენების დროული შეგროვება, გაუვნებელყოფა და გატანა	გზაზე და მის სიახლოვეს	ინსპექტირება	ავტოსაგზაო შემთხვევებისას, საჭიროების მიხედვით	გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად	საკატრულო პოლიცია; მარნეულის მუნიციპალიტეტი
გზის სარემონტო სამუშაოებისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვა	წარმოქმნილი ნარჩენების დროული გატანა ნაგავსაყრელზე	გზის მთელ მონაკვეთზე	ინსპექტირება	გეგმიური სარემონტო სამუშაოების დასრულებისას	გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად	მარნეულის მუნიციპალიტეტი

დანართი 1: პროექტის მდებარეობის რუკა I



(შ-37) სადასლო-ცოფი-ახკერპი (სომხეთის საზღვარი)
 შიდასასაქმელო ფორმირების
 მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ3 ÷ კმ8 მონაკვეთი
 (S-37) SADAKHLO-TSOPHI-AKHKERPI (BORDER OF ARMENIA)
 SECONDARY ROAD KM3 ÷ KM8 SECTION

პკ 62+80 - ტრასის დასასრული
 CP 62+80 - END OF THE ROAD

პკ 0+00 - ტრასის დასაწყისი
 CP 0+00 - START OF THE ROAD



დანართი 2: საჯარო განხილვის ოქმი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ-37 სადახლო-წოფი-ახკერპი (სომხეთის საზღვარი) კმ3-
კმ8 გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას გარემოზე ზემოქმედების
მართვის გეგმის საჯარო განხილვის

ოქმი

16.07.2018

სოფელი ახკერპი

სხდომის თავმჯდომარე – მაია ვაშაკიძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს
უსაფრთხოების კონსულტანტი

სხდომის მდივანი – რუსუდან ელიზბარაშვილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის
გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალისტი

მომხსენებელი – მაია ვაშაკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: იხ. დანართი 1

საჯარო განხილვის მიზანი იყო დადგენილ სამუშაოთა უშუალო ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ამ სამუშაოთა არსის, ვადების შესახებ. აგრეთვე განხილულ იქნა სამუშაოთა მიმდინარეობისაგან მოსახლეობისთვის დროებითი უხერხულობის გაჩენის შესაძლებლობის და სამუშაოების მსვლელობასთან დაკავშირებული არასასურველი მოვლენების შესამცირებლად დაგეგმილი ღონისძიებები. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხილვისას დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა დაესვა კითხვები და გამოეთქვა კრიტიკული მოსაზრებები გეგმის საბოლოო ვერსიის მისაღებად, მათი მოსაზრებების გათვალისწინებით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტს წარმოადგენდნენ გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალისტი რუსუდან ელიზბარაშვილი და საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტი მაია ვაშაკიძე.

შეხვედრა გახსნა საავტომობილო გზების გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტმა მაია ვაშაკიძემ დამსწრეებს გააცნო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის, ასევე აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა.

განხილულ იქნა პროექტთან დაკავშირებული სამუშაოები. მათი შესაძლო ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. განხილული იქნა შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას იძლევა მისაღებ მინიმუმადე იქნას დაყვანილი გარემოზე შესაძლო მავნე ზემოქმედება გზის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის თაზგებში.







№	კითხვა	პასუხი
1.	როდის დაიწყება გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები?	სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება მას შემდეგ რაც ტენდერი გამოცხადდება და შესაბამისად გამარჯვებულიც გამოვლინდება
2.	გაუკეთდება თუ არა ყველა მოსახლეს ასფალტის მისასვლელი?	ასფალტის მისასვლელი გზა მოეწყობა მხოლოდ სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთის გასწვრივ მცხროვრებ მოსახლეობას
3.	რა მოხდება თუ კი გზის რეაბილიტაციის დროს წარმოიშვა მტვერი?	სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დროს მშენებელი კომპანია ვალდებულია მორწყოს ტერიტორია მტვერის აღმოფხვრის მიზნით
4.	დაცული იქნება თუ არა უსაფრთხოების ნორმები?	იქიდან გამომდინარე რომ პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ, მშენებელი კომპანია ვალდებულია დაიცვას მისი (მსოფლიო ბანკის) უსაფრთხოების პოლიტიკა

სააეტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები:






მაია ვაშაკიძე

რუსუდან ელიზბარაშვილი

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სადახლო-წოფი-ახკერპი (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ3-კმ8 მონაკვეთის ბუნებრივ და სოციალურ გარემოს მართვის გეგმის საჯარო განხილვა

№	სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1	ედუას ჭავჭავაძე	595 132184	
2	ზაურ ამოცია	595 76 9166	
3	მუსტას სეიდოვი		,
4	ცახხან სეიდოვი	558 34 08 38	
5	ახუნ ახუჯიანი	595 34 78 66	
6	ვადეხიკ ახუჯიანი		
7	ვოვა ვახიჭიანი		
8	ახუჯიანი ახუჯიანი		
9	ედიუას ახუჯიანი	595 14 17 53	
10	ასოვ ისმაილოვი	577626773	

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სადახლო-წოფი-ახკერპი (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ3-კმ8 მონაკვეთის ბუნებრივ და სოციალურ გარემოს მართვის გეგმის საჯარო განხილვა

№	სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
	მსხვერპლ ი ზელოვი	599-70-57-83	
	ვატი სუიიძე		
	ხანდაი სვიციანი	599 99 17 09	
	ვახუშტი ახიანი	533 32 36 02	
	ნახიკე ზვდასახიანი	558 13 21 84	
	ნახიკე ზვდასახიანი	551 13 21 84	

ხელშეკრულება №11/04-1

ქ.მარნეული

20 მაისი 2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „თი როუდი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 405140379), წარმოდგენილი მისი დირექტორის, შალვა ქელბაქიანის სახით (შემდგომში „ნებართვის ამლები“) და მეორეს მხრივ მერიის წარმომადგენელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ხოჯორნის ადმინისტრაციულ ერთეულში სეიფ იბადიევის სახით (შემდგომში „ნებართვის გამცემი“), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „ნებართვის გამცემი“ გასცემს ნებართვას „ნებართვის ამლებზე“ - შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (ს-37) სადახლო-წოფი-ახკერპი (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) ს/გზის კმ 3 - კმ 8 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე L = 6 მოჭრილი გრუნტის მის ტერიტორიაზე ნაყარში განთავსებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ მის მოსწორებაზე.

1.2. ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი - მოჭრილი გრუნტის ნაყარში განთავსების შეთანხმებული სიტუაციური გეგმა. - 1 (ერთი) ფურცელი

2. მხარეთა რეკვიზიტები

ნებართვის ამლები

ნებართვის გამცემი

შ.პ.ს. „თი როუდი“
ს/კ 405140379
მის: ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ.
კორპ. 19, ბ. 130
შ.ქელბაქიანი

მერიის წარმომადგენელი მარნეულის
მუნიციპალიტეტის ხოჯორნის
ადმინისტრაციულ ერთეულში:
სეიფ იბადიევი
მისამართი: მარნეული, სოფ ხოჯორნი

ნებართვის ამლები 

ნებართვის გამცემი 

ხელშეკრულება №11/04

ქ. თბილისი

11 მაისი 2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „თი როლდი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 405140374) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნალვა ქელბაქიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ბური“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204576422), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, ლაშა კერესელიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვთანხმდებით შემდეგნაირად:

1. ხელშეკრულების საგანი და ანაზღაურების წესი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს მომსახურება „შემსყიდველს“ - კერძოდ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (ს-37) სადახლო-წოფი-ახვერპი (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) ს/გზის კმ 3 - კმ 8 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სარემონტოზე L=6 განახორციელოს ქვიშა-ბრუნოვანი ნარევით მომარაგება, მისივე მასალით და მისივე ტრანსპორტორებით. ასევე განახორციელოს მსხვილმარცვლოვანი და წვრილმარცვლოვანი აბეტონით მომარაგება მისივე ასფალტობეტონით და მისივე ტრანსპორტორებით.

1.2. აღნიშნული მასალების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად მომდევნო 8 თვის განმავლობაში.

1.3. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება გამოწერილი ანგარიშ/ფაქტურების მიხედვით, რაზედაც ყოველთვიურად გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

1.4. ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

2. სამუშაოს შესრულების და ვადები პირობები

2.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ან მასალების შეტენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ა/ფაქტურა, ინვოისი, ხელშეკრულება და სხვა) წარუდგინოს შემსყიდველს და მოითხოვოს მისი ანაზღაურება. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნით შეტენილი მასალები გადაეცემა შემსყიდველს საკუთრებაში.

2.2. სამუშაო საბოლოოდ შესრულებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს წებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი;

3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ საამისოდ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი შემსყიდველის თანამშრომლები, რომელთა შესახებ შემსრულებელსა და შემსყიდველს წინასწარ რეგულარულად უნდა იცნობილი.

შემსყიდველი



მიმწოდებელი



3.3. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის პირობით გამოიყენებს საკუთარ ან მიწვეულ პერსონალს, მას შრომის ანაზღაურებას უზარუნველყოფს ოციით შემსყიდველი.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულების დაბდებამდე ერთი თვის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

4.2. შემსრულებელი ვალდებულია შეატყობინოს დამკვეთს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო დამკვეთმა უნდა აღნიშნოს შემსრულებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

4.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მასწავლა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

4.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.5. დამკვეთს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დამკვეთისათვის სარწმუნოდ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შემსრულებელი ვერ უზარუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

5. ფორს-მაჟორი

5.1. ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება შემსრულებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება, გარდა იმ შემთხვევისა თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მოახდენს სამუშაოს შესრულების თანხის კორექტირებას ან მოხდენს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების არსებითი პირობების მისადაგებას.

5.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და შემსრულებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.



მიმწოდებელი



5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავიბი შეზღუდულობისაშემბრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოჩახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დაპოუკიდებელნი იქნებოან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

6. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

6.1. შემსრულებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაარსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს დამკვეთი არ არის ვალდებული წარუდგინოს შემსრულებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „თი როუდი“
ს/კ 405140379
მის: ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ.
კორპ. 19, ბ. 130

შ.პ.ს. „იბერი“
ს/კ 204576422
მისამართი: გარდაბანი, სოფ. ფონიჭალა

